პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 19 (12227) | სამშაბათი, 23 იანვარი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

თქვენთვის, მაღაროელებო!

მოსკოვი, 21 იანვარი. (საკდესი). მოსკოვის სამთო ინსტიტუტის მეცნიერთა და ინჟინერთა ჯგუფმა პროფესორ ა. ი. ქსენოფონტოვასთან და დოცენტ ა. ს. ბურჩაკოვის ხელმძღვანელობით შექმნა ორიგინალური დანადგარი — ქვანახშირის სატენიანებელი. დანადგარის დახმარებით შესაძლებელია არა მარტო გაიწმინდოს ჰაერი ქვანახშირის მტვრისაგან, არამედ მკვეთრად ამაღლდეს მაღაროელთა შრომის ნაყოფიერება.

...პატარა საზიდარზე მოთავსებულია დანადგარი, რომელიც გარეგნულად ჩვეულებრივ ტუმბოს მოგვაგონებს. მას იყენებენ იქ, სადაც წარმოებს ლავის დამუშავება. მანამ ქვანახშირის კომბაინი გვირაბგაყვანას შეუდგება, ქანს „ამუშავებს“ სატენიანებელი. წყალი დიდი წნევით რეცხავს ქანს, ავსებს ქვანახშირის ფორებს და ამცირებს მის სიმკვრივეს, ფხვიერს ხდის მას.

გამოანგარიშებულია, რომ ამ დანადგარის გამოყენებით კუბური მეტრი ქვანახშირის ამოღების თვითღირებულება საშუალოდ 33 პროცენტით იაფდება.

ქვანახშირის სატენიანებელი დანადგარების პირველი პარტია წარმატებით გამოსცადეს დასავლეთ უკრაინის ქვანახშირის კომბინატის შახტებში.

ჩერკესკი, 21 იანვარი. (საკდესი). შესრულდა ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის შექმნის 40 წლისთავი. ეს თარიღი, როგორც ძმური მეგობრობის დღესასწაული, ისე აღნიშნეს მშრომელებმა ქალაქებში, მთის აულებსა და სტანიცებში.

ძმური ურთიერთშეჯერებისა და დღეგრძელობის

ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის 40 წლისთავი

მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს საიუბილეო სესიაზე სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. დ. კულაკოვმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი წერილი ყარაჩაი-ჩერქეზეთის ხალხებისადმი.

მოხსენება ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიის 40 წლისთავის შესახებ გააკეთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. კ. კარდანოვმა.

გამოაქვეყნეს ყაბარდო-ბალყარეთის, აფხაზეთის, ადიღეს, ყალმუხეთის, დაღესტნის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, კრასნოდარის მხარის, როსტოვის ოლქის, სტავროპოლის მხარის ქალაქებისა და რაიონების დელეგაციათა მისალმებანი.

შეკრებილებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს ტექსტები წერილებისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისადმი, პირადად ნიკიტა სერგეისძე ხრუშჩოვისადმი.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იუბილეასთან დაკავშირებით საპატო სიგელებით დააჯილდოვა ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის მუშაკთა დიდი ჯგუფი.

„ოგი“ და „კოოპერაცია“ მირნიში

მირნი, 21 იანვარი. (საკდესი). დიზელ-ელექტრომავალი „ობი“ და სამგზავრო გემი — „კოოპერაცია“, რომელზეც არიან მეწვიდე საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიციის მონაწილეები, დღეს დილაადრიან გამოჩნდნენ მირნის რეიდზე, იუწყება საკდესის სპეციალური კორესპონდენტი იური ხრომოვი. ხომალდების მოსვლა პოლარელებისათვის ნიშნავს ზამთრობის დასასრულს.

მირნის თითქმის ყველა მცხოვრები შეიკრიბა მაღალ ნაპირზე, სადაც წინა დღით დადგეს ბოძი ცხრილებით, რომლებშიც აღნიშნულია მანძილი მოსკოვამდე, ლენინგრადამდე, პრაღამდე, ბერლინამდე, ვაშინგტონამდე...

უკვე დაიწყო ხომალდების გადმოტვირთვისათვის მზადება. გაკაფავთ ყინულოვანი გზა. დიდ ნაპრალებზე აწყობენ ხის ხიდებს. ბულდოზერები ამზადებენ ხმარის კონცხის რაიონში შესასვლელს.

„ობის“ მოსვლამდე, რომელმაც ჯერ კიდევ უნდა გამოიაროს მძიმე ოთხკილომეტრიანი გზა ყინულებში, მისი კაპიტანი ნ. სეირიდოვი ეკიპაჟის ორ წევრთან ერთად თხილამურებით მოვიდა მირნიში. მას შეხვდნენ ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს უფროსი ა. აფანასიევი და მეშვიდე ექსპედიციის უფროსი ა. დრაღკინი. მათ ერთად დათვალიერეს გადმოტვირთვის განზრახული ადგილი ყინულზე.

მირნის მოზამთრეები წერილებს სწერენ ნათესავებს. რამდენიმე დღეში უკან დაბრუნდება საჰაერო ექსპედიცია „ან-10“ თვითმფრინავით. ეს ლაინერი, რომელმაც განახორციელა ორი საცდელი გაფრენა სადგურ აღმოსავლეთში, თხილამურებიდან უკვე გადაიყვანეს თვლებზე. „ილ-18“-ზე ამოწმებენ მექანიზმების მუშაობას.

დღეს მთავრდება სადგურ აღმოსავლეთის შემადგენლობის ევაკუაცია, ეს სადგური სეზონური გახდება. უკანასკნელი რეისით იქ „ილ-12“ თვითმფრინავით გაფრინდა საავიაციო რაზმის მეთაური ბ. მინკოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის, ხე-ტყის დასამუშავებელი მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრი ამხ. გიორგი მიხელის ძე ორლოვი დანიშნა სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის, ხე-ტყის დასამუშავებელი მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

მთავარი იდეოლოგიური მუშაობაში

ჯალე ერთი თვე შესრულდება, რაც ისტორიის პერონზე ჩამოდგა ახალი, 1962 წელი. ისე როგორც ყოველთვის, საბჭოთა ხალხმა ამ ახალ ხელოვადაც მჭიდროდ შეაკავშირა რიგები თავისი მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის გარშემო და გიგანტური შემოქმედებითი ენერგიით შეუდგა შვიდწლედის მეოთხე წლის ამოცანების შესრულებას.

კომუნიზმისათვის ამ დიად ლაშქრობაში საბჭოთა ხალხის „ზის მანათობელი ჩირაღდანია სკკპ პროგრამა, პარტიის ისტორიული XXII ყრილობის დოკუმენტები და მასალები. პარტია გაშლილი ფრონტით ეწევა კომუნიზმის შენებლობას, მტკიცედ წყვეტს დიდ ამოცანებს: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებას და ახალი ადამიანის აღზრდას.

კომუნიზმის გიგანტური კარკასი სულ მაღლა და მაღლა მიიწევს მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის თავდადებული შრომით, მთელი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი გარჯით. კომუნისტური მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეიქვთ იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს. იდეოლოგიურ მუშაკთა მძლავრი არმია სულ უფრო აქტიურად აჩალებს მუშაობას პარტიის პროგრამის, XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და განხორციელებისათვის.

როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ისე ჩვენს რესპუბლიკაში ახალი ძალით ჩქეფს იდეური ცხოვრება, იდეოლოგიური მუშაობა უფრო მიზანსწრაფული გახდა, შეესისხლხორცა კომუნიზმის მშენებლობის ყოველდღიურ საქმიანობას. რედაქციაში ყოველდღე მოდის ათობით ინფორმაცია, წერილი ადგილებიდან იმაზე, თუ როგორ იმართება აგიტატორთა საუბრები, როგორ ეწყობა პოლიტიკური განათლების სისტემაში მეცადინეობა, ლექციები, მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, თეორიული კონფერენციები სკკპ XXII ყრილობის მასალების პროპაგანდის საკითხებზე.

მთავარი და განმასხვავებელი, რაც იგრძნობა რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობაში, ის არის, რომ მას ახასიათებს ახლის ძიება, თაოსნობა, მასობრივობა. იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს არა მარტო მიაქვთ მასებამდე კომუნიზმის დიადი იდეები, არამედ ამასთან ისინი არიან ამ იდეების პრაქტიკული განხორციელების მგზნებარე ორგანიზატორები. ამ მხრივ მუშაობის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან დედაქალაქის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის, მახარაძის პარტიული ორგანიზაციები.

და თუმცა ბევრგან იდეოლოგიურ მუშაობაში იგრძნობა აღმავლობა, სამწუხაროდ, აქა-იქ, ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციაში ამ მხრივ მუშაობა სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. ლენინგორის რაიონის სოფელ ალევის კოლმეურნეობაში ჩაშლილია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, სათანადო ყურადღება არ ექცევა სკკპ XXII ყრილობის მასალების პროპაგანდას. საკოლმეურნეო პირველად პარტიულ ორგანიზაციასთან ფორმალურად შექმნილია სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი წრე, რომელშიც გაერთიანებულია 22 ამხანაგი. პოლიტიკური განათლების ქსელში სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე აქ ერთხელაც არ ჩაუტარებია მეცადინეობა. ეს გარემოება სრულებით არ აწუხებს წრის პროპაგანდისტს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ი. შერმადინს. იდეოლოგიური მუშაობა ხომ სამეურნეო საქმიანობის სასწორია და მისი შეუფასებლობა აშკარად ატყვია ამ კოლმეურნეობას, რომელმაც გასული სამეურნეო წელი ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრა, ვერ შეასრულა ცხვრის სულადობისა და საერთოდ მეცხოველეობის განვითარების გეგმები. ყრილობის მასალების პროპაგანდა დაბალ დონეზეა აგრეთვე ახმეტის რაიონის სოფელ წინაუბანში.

ცხადია, ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. იდეოლოგიური დარგის მუშაკებს უნდა მოვთხოვოთ ანგარიში არა მარტო იმისათვის, თუ რამდენი საუბარი ან მოხსენება მოაწყო, არამედ იმისთვისაც, თუ როგორ, რა დონეზე მოაწყო, მიჰყვება თუ არა ცხოვრებას მხარდამხარ და როგორ ეხმაურება იმ ამოცანის პრაქტიკულ განხორციელებას, რომელიც შვიდწლიანი გეგმით დგას რაიონის, საწარმოს თუ კოლმეურნეობის წინაშე, სადაც მას უბდება მუშაობა.

როცა განვმარტავთ პარტიის პროგრამის დიად იდეებს, ისინი მასებს უნდა შევაგენინოთ როგორც კონკრეტული ამოცანა, დავრაზმოთ ადამიანები აქტიური ბრძოლისათვის სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. იდეოლოგიურ საკითხზე ამ ერთი თვის წინათ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა მუდამ და ყველაფერში ვიხელმძღვანელოთ იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის ერთობის უმნიშვნელოვანესი პარტიული პრინციპით.

ისე, როგორც ყველა საქმეში, მთავარია ადამიანები, კადრები, მით უმეტეს იდეოლოგიურ მუშაობაში. ახალი რთული ამოცანების წარმატებით გადაჭრა შეუძლიათ მხოლოდ თეორიულად ყოველმხრივ მომზადებულ, იდეურად მტკიცე, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ადამიანებს, ახლის დაკვირვებულ მაძიებლებს, მათი განხორციელებისათვის გულწრფელ და მგზნებარე მებრძოლებს.

ამიტომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების მოვალეობას შეადგენს უკეთ შეარჩიონ და შეაკვლონ იდეოლოგიური დარგის მუშაკთა რიგები ისეთი ადამიანებით, რომლებსაც უყვართ ეს საპატიო საქმე და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან პარტიის იდეური ჯარისკაცის სახელს.

პარტია დიდად აფასებს და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს პროპაგანდისტთა და აგიტატორთა, იდეოლოგიურ მუშაკთა — მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებისათვის აქტიურ მებრძოლთა მთელი არმიის საქმიანობას.

გავამარტლოთ დიდი ლენინის პარტიის ეს მაღალი ნდობა, შევიტანოთ ჩვენი ღირსეული წვლილი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში!

ფუნჯით, ცხოვრების მხარდამხარ

დღეს იხსნება საქართველოს მხატვართა მეხუთე ყრილობა, რომელიც შეაჯამებს საქართველოს ამ ერთ-ერთი ძლიერი შემოქმედებითი სიზოგადოების 522 წევრის — ფერმწერის, მოქანდაკის, გრაფიკოსის, თეატრალურ-დეკორაციული და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატის თითქმის სამი წლის მოღვაწეობას. მხატვრები პატიოსნად წარსდგებიან ხალხის წინაშე და გულახდილად იტყვიან — რა გააკეთეს, მაგრამ რა დარჩათ განუხორციელებელი კეთილშობილური შრომისა და შემოქმედების სადიდებლად, მშობლიური ქვეყნის განსამტკიცებლად, კომუნიზმის კარიბჭესთან მიმდგარი ნოვატორი ხალხის მორალური კოდექსის დასანერგად, იმის მოსაპოვებლად, რასაც ქადაგებს პარტიის ახალი პროგრამა.

დიდია ჩვენი მიზნები და ამოცანები. მცირე როდია ჩვენს დიდ კეთილშობილურ საქმეში ქართველ მხატვართა წვლილიც: უკვე შეიქმნა მრავალი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, იდეურად და მხატვრულად გამართული ტილოები, თემატური კომპოზიციები ჩვენი ხალხის გმირულ წარსულზე და აწმყოზე, ღრმად შთამბეჭდავი პორტრეტები სოციალისტური შრომის თავკაცებზე, გარდაქმნილი და განახლებული ბუნების გადმომცემი პეიზაჟები, დოვლათისა და ბარაქის ამსახველი ნატიურმორტები, მღელვარე გრძნობებისა და საზოგადოებრივი სუნთქვის გადმომფენი მონუმენტური მოხატულობანი და პუბლიცისტური ყოველდღიის პლაკატები. სახვითი ხელოვნება ღრმად შეიჭრა მასებში, მხატვართა დევიზად იქცა ხალხის სამსახური, ცხოვრებასთან კავშირი, ხალხთან ყოფნა და მასთან ერთად გარჯა.

დღეს იხსნება
საქართველოს მხატვართა
მეხუთე ყრილობა

საანგარიშო პერიოდში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ უკვე მოეწყო 28 გამოფენა — რესპუბლიკური, ჯგუფური და პერსონალური. შესამჩნევად გაიზარდა ქართველ მხატვართა მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენებზე და საბჭოთა მხატვრების ექსპოზიციაში საზღვარგარეთ, რისთვისაც ბევრმა მონაწილემ პრემიები და ჯილდოებიც კი მოიპოვა. წესად იქცა მოძრავი გამოფენების მოწყობა საქართველოს რაიონებში. ბევრგან გაიხსნა სურათების ადგილობრივი გალერეა. ახლა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელი ადამიანები უფრო ახლო ხედავენ, გრძნობენ და აღიქვამენ მხატვართა შემოქმედებას, ფუნჯის მოსმას და საჭრეთლის მოქნევას.

ქართველ მხატვართა ქმნილებების პოპულარიზაციას ხელოვნებათმცოდნეთა სიტყვაც მიეხმარა. სახვითი ხელოვნების კრიტიკოსებმა ფუნდამენტური გამოკვლევები, მონოგრაფიები, მეცნიერული შრომები და სტატიები უძღვნეს წარსულსა და აწმყოს შემოქმედთ, ცოტა ლექცია-მოხსენება როდი ჩაატარეს რესპუბლიკის მრავალ კუთხეში, ფაბრიკებში, ქარხნებში, სადაც ჩვენი მხატვრების, მოქანდაკეების, გრაფიკოსებისა და კერამიკოსების ნამუშევრების სიკაფფესთან ერთად მათი ჩრდილოვანი კუნჭულების გამოჩენასაც არ მოერიდნენ და ამით მგრძნობიარე მაყურებლისა და მსმენელის ესთეტიკური გემოვნების დონესაც ზრდიდნენ და თვით შემოქმედ-ავტორთა იდეურ-პროფესიულ სიმწიფესაც ხელს უწყობდნენ.

მიუხედავად ამისა, მაინც ბევრია გასაკეთებელი ხალხის ესთეტიკური სრულყოფისათვის. ახლა ამოცანა ის არის, რომ მასების ესთეტიკური აღზრდა სკოლის პერიოდიდან იწყებოდეს. ხატვის საგნის სავალდებულო სწავლება სკოლაში (მუსიკასთან ერთად) ისევე დაეხმარება მომავალი თაობის სულიერ ფორმირებას, როგორც ამას ვაღწევთ სპორტული კულტურის დანერგვით.

დიდი მხატვრობა ხალხში იღებს სათავეს. დიდი შემოქმედების ულიკი მდინარეს ხალხურობა წარმოშობს. მაგრამ შეუძლებელია ამის მიღწევა, თუ ჩვენმა მხატვრებმა და სახელოვნო ორგანიზაციებმა — სამხატვრო აკადემიამ, სამხატვრო სკოლებმა და მხატვართა კავშირმა — უფრო მეტად არ იბრძოლეს პირი თანამედროვეობისაკენ. ახალსა და ნოვატორულ, თუნდაც პროფესიული ოსტატობის თვალსაზრისით, მხოლოდ თანამედროვეობა წარმოშობს. რაც უფრო მეტად დაუახლოვდებიან მხატვრები დღევანდელობას, მით უფრო დიდი სარბიელი მიეცემათ შემოქმედებითი ნოვატორული ძიებისათვის.

ჩვენი მხატვრობა სწორ გზს ადგას, იგი მტკიცედ მისდევს სოციალისტური რეალიზმის გზას. ჩვენი მეთოდი არის სოციალისტური რეალიზმი, რომელიც გვეხმარება სინამდვილის შეცნობასა და გარდაქმნაში. სწორედ სოციალისტური რეალიზმი გულისხმობს სხვადასხვა შემოქმედებითი მიმდინარეობის არსებობას, მაგრამ ისეთისა, რომელიც მოწყვეტილი არ იქნება ცხოვრებას, ხალხის სულიერი პროგრესის ამოცანებს, არ დაადგება ყალბი ნოვატორობის მოლიპულ ბილიკს, არ იჯამბაზებს ექსპერიმენტულობის საქანელზე. სოციალისტური რეალიზმის მეთოდი სულიერად ზრდის ადამიანს, ანათესავებს შრომასა და გარჯასთან, აძლევს მშვენიერების შეგრძნობის უნარს, აცნობს ქვეყანას, აყვარებს ხალხს, საამოს ხდის აწმყოს.

ჩვენში არ არის ნიადაგი ავადმყოფურობის, დაცემულობის, უიმედობის, უაზრო და უიდეო ხელოვნებისათვის, რადგან ჩვენ გვაქვს ყველაზე ნათელი და კონკრეტული, ხორცშესხმული და რეალური წინსვლისა და ზრდის დიდი პროგრამა. მაგრამ ხომ არსებობს ავზნიანი გარემოც, რომელიც ზოგჯერ ჯანსაღაც ეპარება. ამით აიხსნება, რომ თითო-ოროლა შემოქმედსაც მოედო ფორმალიზმის სენი, ზოგიერთი თავჩაქინდრული გაჰყვა აბსტრაქტულობის ნაფეხურს.

რამ შეაპარა იგი ჯანსაღ ტახში? ჩვენმავე უდარდელმა მასლაათმა. „ატომის ეპოქაში ადამიანის აზრისა და კუნთის რომანტიკას ძალა დაეკარგაო“, „ერთი ბრმა ყუმბარა მილიონებს დააბრამავებსო“. ასეთმა მოთქმამ ზოგი ვინმე აატირა და აიწრიპინა: მოდით ვიტიროთ, არარობას ვემთხვიოთ და აბსტრაქტულობას ვეთაყვანოთო.

მაგრამ, საბედნიეროდ, ასეთები ძალიან ცოტანი არიან. სწორედ ამიტომ გვეცემინან ამ მკაფიოდ თვალში. თუმცა მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. მეტი სითბო და ზრუნვა უნდა გამოვიჩინოთ იმათდამი, ვინც ეძებს, დავეხმაროთ კარგისა და მართალის პოვნაში. ან ის მაინც „ვაპოვნინოთ“. რაც მასვე ათქმევინებს: „მეგონა ბაჯაღლოს ვპოვებდი, კრამიტის ნატეხს კი წავაწყდიო.“

სხვა ნაკლსაც უნდა ვებრძოლოთ. ზოგს ჰგონია: თანამედროვეობის ეშმარიტი მხატვარი ის არის, ვინც იდეურად ხერხემალგაშეშებულ ნაწარმოებს ქმნის და მხატვრულ ოსტატობას აინუნში არ აგდებსო. მცდარი აზრია! გატეხილი იდეური ხერხემალი ვის რას არგებს, მაგრამ არც მოუქნელია უკეთესი. იდეურ ხერხემალს თავისი წვენი უნდა კვებავდეს, თორემ ასეთი „შემოქმედი“ ყოველთვის თავაწეული ივლის, კეთილი სალმისათვის კი თავს ვერ დახრის. მერე ვის უნდა ასეთი ყელყელა ხელოვანი.

ასეთ ავზნეს პროფესიონალი ოსტატობა ჰკურნავს. მაგრამ მხატვრის ოსტატობა გამოცდილებით სავსე ქისა როდია. შემოქმედი ოსტატი იმას ჰქვია, ვინც შესრულების ისეთ ხერხს მოიშველიებს, რომლითაც უფრო მტკიცედ დაჯერებს მაყურებელს საკუთარ მხატვრულ-იდეურ ნაზრევში. ოსტატობა ხალხის გულთან გადებული ხიდია.

მაგრამ გაბედული ძიება ხომ მაინც გვინდა? გვინდა! ჩვენი მხატვრები შემდეგშიც უნდა მიჰყვნენ ნოვატორობის სულის თქმას, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ახალი ცხოვრების ახალი იდეები მკაფიოდ და ხატოვნად გადმოსცენ ამისათვის მხატვარს თვალში თარაზო უნდა ედგას და გულში ღარი ეკიდოს, რომ ადვილად გაარჩიოს დოგმატიკოსის ბუზღუნიც და ფორმალისტის ლაქლაქიც.

არც იმათ უნდა დაეუყვავოთ, ვინც სოციალურ შინაარსს ეროვნულ ფორმას აცლის. საბჭოთა ხალხების ხელოვნება წელში ისე გაიმართა, რომ ძნელია გარჩევა, — ვინ ხნიერია და ვინ მოზარდი. მომავლის კომუნისტური კულტურა — აი მიზანი. მაგრამ ნურას უკაცრავად, ვისაც ჰგონია, რომ ხვალინდელი კომუნისტური საზოგადოების ხელოვნების რაში კოსმოპოლიტმა მხედრმა უნდა შეკაზმოს. ხალხის ხელოვნების უთვისტომობასა და ნიველირებას ლენინი ეკიცავდა. სოციალისტურმა შინაარსმა, ეროვნულმა მრავალფეროვნებამ უნდა შექმნას ერთობლივი მიზანდასახულობის კომუნისტური კულტურა. პარტიის ახალი პროგრამა ქადაგებს: ცხოვრების მხატვრული ასახვის გამდიდული ნოვატორობა მსოფლიო კულტურის პროგრესული ტრადიციების გამოყენებასა და განვითარებას გულისხმობსო. მსოფლიო პროგრესულ ტრადიციებს კი ხალხები ქმნიან, ამიტომ მათს ეროვნულ ხელოვნებას არც ფერი უნდა დაეუკარგოთ და არც არომატი. სხვაგვარად ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ხელოვნება ერთიან დაფარცხულ მწვანე მინდერად ალივლივდება და საგულდაგულო უყვავილობა მომხიბვლელ სილამაზესაც წაართმევს და მომაჯადოებელ სურნელსაც.



კოლმეურნე ქალი. მოქანდაკე ვლ. ნოზაძე.

ჩვენს მხატვრებს ეს კარგად ესმით და ამიტომ ასე შეწყობილად ამღერებენ საერთო მრავალფეროვან მგლოდიას, რომელიც ასე ჟღერს პარტიის XXII ყრილობისადმი მიძღვნილ მოსკოვში გამართულ საკავშირო გამოფენაზე.

კიდევ რა დაგვრჩა გასაკეთებელი?

ის, რომ ბევრი მუშისა და კოლმეურნის ოჯახში ეკიდოს ქართველი მხატვრის ნაწარმოები, ბევრის თაროზე იდგეს მინიატურული ქანდაკება.

კრიტიკა და ხელოვნებათმცოდნეობა თანმიმდევრულად უნდა აჩვენებდეს ქართული საბჭოური სახვითი ხელოვნების განვითარებას, რომელიც დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე მეოთხე ყრილობის დროს იყო, და მეექვსე ყრილობის წინ უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე დღეს არის.

ოთარ ეგაძე.

ამგეგი, ცნოგეგი, ფაქტეგი

□ **ქუთაისი.** (საკ. კორ.). პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საქალაქო გასყოფილების ინიციატივით ქუთაისში შეიქმნა ვაჭრობის ეკონომიკის სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც ვაჭრობის სამოცზე მეტი მუშაკია გაერთიანებული. მეცადინეობას შეუდგა აგრეთვე სკოლამდელთა აღზრდის დაწესებულებების მუშაკთა კულტურის სახალხო უნივერსიტეტი.

□ **თეთრი-წყარო.** (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საკოლმეურნეო მშენებლობა. ბორბალოს კოლმეურნეობამ გასულ წელს ააშენა საკუთარი კლუბი, ელექტროწისქვილი, ფერმა, კოლმეურნეობის კანტორა, სამჭედლო, ფურაჟის შესანახავი ოთახები, ფარეხები, შეკეთდა მეცხოველეობის ფერმები.

□ **ამ** დღეებში პარტიის ახალციხის რაიკომმა მეცხოველეობის მოწინავეთა სკოლის მსმენელებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის მოაწყო თეორიული კონფერენცია.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ რაიონის საუკეთესო ზოოვეტსპეციალისტები და კოლმეურნეები.

□ **ზესტაფონი.** (საკ. კორ.). განათლების განყოფილებისა და პროფკავშირის რაიკომის ინიციატივით აქ შეიქმნა მშობელთა უნივერსიტეტი, რომლის მიზანია მშობლებში საზოგადოებრივ-პედაგოგიური ცოდნის ამაღლება, მშობელთა როლის გაზრდა ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში.

□ **ცხინვალი.** (საკ. კორ.). ოსურ ლუდზე მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გადაწყდა ცხინვალის ლუდის ქარხნის გაფართოება. მნიშვნელოვნად გაფართოვდება სახარშავი საამქრო. გადიდდება აგრეთვე ლუდის შესანახი ქვაბების, სარდაფების ტევადობა.

ᲣᲙᲐᲜᲘᲡᲒᲐᲜ

ა. ი. მიქოიანი მაროკოდან გამოემგზავრა

რაბატი, 22 იანვარი. (საკდესი). დღეს რაბატიდან საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ი. მიქოიანი, რომელიც მეფე ჰასან II მოწვევით იმყოფებოდა მაროკოში ოფიციალურ ვიზიტად.

კოსმონავტი — 2 ჰანოიში

ჰანოი, 21 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა გერმანე ტიტოვი. ჟია-ლამის აეროდრომზე სახელგანთქმულ გმირ კოსმონავტს შეხვდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი, რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ჩიონგ ტინი, მინისტრები, სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ქალაქის მცხოვრებნი.

ჰანოის მცხოვრებლებმა გ. ს. ტიტოვს ტრიუმფული შეხვედრა მოუწყეს.

ჰანოი, 21 იანვარი. (საკდესი). დღეს საღამოს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ეროვნულმა კრებამ, ვიეტნამის სამამულო ფრონტმა დიდი დარბაზობა გამართეს საბჭოთა კოსმონავტის გ. ს. ტიტოვის პატივსაცემად.

მეგოგრრგის მშვენიერი გამოსახულება

ჰანოი, 22 იანვარი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 20 იანვარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი გამოვიდა საბჭოთა სპეციალისტების წინაშე, რომლებიც დახმარებას უწევენ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას სოციალისტურ მშენებლობაში.

პრემიერ-მინისტრი გულთბილად მიეესალმა თაობრის მონაწილეებს და გადასცა საბჭოთა სპეციალისტებს პრეზიდენტ ხო ში მინის გულითადი სალამი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი და მთავრობა, ვიეტნამის მშრომელთა პარტია, თქვა ფამ ვან დონგმა, სულითა და გულით, გულწრფელ მადლობას უხდიან საბჭოთა კავშირის ხალხს, მთავრობასა და სახელოვან კომუნისტურ პარტიას, რომელსაც ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს, კერძოდ კი, საბჭოთა სპეციალისტებს ვიეტნამელი ხალხისადმი გაწეული უანგარო დახმარებისათვის, რომელიც ძვირფასი წვლილია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარებაში.

საბჭოთა სპეციალისტები, ხაზგასმით აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, — ყველაზე მშვენიერი გამოხატულებაა ვიეტნამელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობისა, რომელიც შეიძლება არსებობდეს მხოლოდ სოციალიზმისა და კომუნიზმის დროს, მეგობრობისა, რომელიც ლენინმა გვიანდერძა.

მაგალითის ძალა

ჩვენს ბრიგადაში 14 მქსოველია. აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილების დამზადება მეტად რთული საქმეა. ერთხანს საქმეს შემდეგი გარემოებაც ართულებდა. ყოველი მქსოველი რამდენიმე დაზგას ემსახურება, და ამიტომ რომელიმე მათგანში მისაქსელი ძაფის ჩამოთავებისას დაზგა ცდებოდა, სანამ მასზე მიმავრებული მქსოველი მოვიდოდა და მასრას გამოცვლიდა.

ბრიგადაში უკანასკნელ ხანს მტკიცედ დაინერგა შრომაში ურთიერთდახმარების, საერთო საქმის კოლექტიურად კეთების მეთოდი. ახლა რომელიც გნებავთ დაზგას მისი გაჩერებისთანავე ჩართავს ყოველი მქსოველი, რომელმაც პირველმა შენიშნა გაჩერება, მიუხედავად იმისა, თუ ვის ბაბარი დაზგა.

მქსოველებმა არათუ წუთის, წამის ფასიც ისწავლეს — დაზგების მუშაობის პროცესში ყველანი წინასწარ ამზადებენ ორ-ორ მასრას, რათა საჭიროების დროს ძაფის თავის მონახვაზე დრო არ დაკარგონ და რაც შეიძლება მეტი ძაფი მიაწოდონ მისაქსელს, ე. ი., საბოლოო ანგარიშით, მეტი და კარგი ქსოვილი დაამზადონ.

არა მარტო ჩვენს ბრიგადაში, შეიძლება ითქვას, მთელ კომბინატში ხარისხისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითებს უჩვენებენ ახალგაზრდა მქსოველები ნაზი ტალახაძე, ანა ტებაშვილი და ლალი ხარინე.

ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის—ამ პრინციპით მუშაობს ახლა კომუნისტური შრომის ჩვენი ბრიგადა. დამახასიათებელია თუნდაც ერთი მაგალითი. ამ ნახევარი წლის წინათ ჩვენთან სამუშაოდ მოვიდა საფაბრიკო-

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 43, 44 და 45 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები საქართველოს სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქი № 699

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **გოშაძე** გაბრიელ ნოეს-ძე — ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ქობულია** გაბრიელ ისიდორეს-ძე — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მუშაკებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **სეფაშვილი** ალექსანდრა არჩილის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები

ელიავა ლია შალვას ასული — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაკთა კოლექტივისაგან;

ბუჯიაშვილი ვლადიმერ გიორგის-ძე — თიანეთის რაიონის სოფელ გორანის კომლმეურნეობის წევრებისაგან;

ხახანაშვილი მერი გიორგის ასული — ქ. თბილისის ლენინის რაიონის ბავშვთა № 1 პოლიკლინიკის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

კაპილევიჩი ბორის ლევის-ძე — ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის ორგანიზაციისაგან;

ბელი მიხეილ მოსეს-ძე;

ჯიბლაძე ნათელა გერონტის ასული — თბილისის ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკთა კოლექტივისაგან;

ლეფავა თამარ შერბაკის ასული — საზელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ებანოიძე ლუტუ დავითის-ძე — ქ. თბილისის საელმავლო დეპოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქი № 700

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ნინოშვილი** ვახტანგ იოსების-ძე — ქ. თბილისის კალინინის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ქვინინიძე** ბორის მიხეილის-ძე — ქ. თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ეფრემიძე** ეთერ გიორგის ასული — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები

წიგნაძე ვერა ვარლამის ასული — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექტივისაგან;

თოფურიძე ელენე ივანეს ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთაგან;

სისოევა რაისა ანტონის ასული — ქ. თბილისის ძაფსართაგი ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

შკარუბილოვა ლარისა ალექსანდრეს ასული — ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

დავითაძე ივანე ახმედის-ძე — შუახევის რაიონის სოფელ შუახევის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ბერიძე ფატი მემედის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების ქობულეთის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ვარშანიძე ხატიჯე ომერის ასული — ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ცინცაძე წოდარ კალისტრატეს-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ბათუმის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

ზოიძე მემედ ჯემალის-ძე — ხულოს რაიონის სოფელ დეკანაშვილების XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

ბორჯომის საარჩევნო ოლქი № 703

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ლომაშვილი** ჯიბო ნიკოლოზის-ძე ბორჯომის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **გრძელიშვილი** შალვა ონისიმეს-ძე — ახალციხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მუშაკებისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **აბრამაშვილი** შოთა გიორგის-ძე — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ბორჯომის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები

ბულეიშვილი თამარ თეოდორეს ასული — ლაგოდეხის რაიონის სოფელ კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

დუღლაძე მანანა ივანეს ასული — გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანის „ოქტომბრის რევოლუციის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ხმიადაშვილი ქეთევან ილიას ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თელავის რაიონული ორგანიზაციისაგან;

სისოევა ნინო სიმონის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის სიღნაღის რაიონული ორგანიზაციისაგან;

კაპანაძე ავთანდილ გრიგოლის-ძე — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის ძირეინსკის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ცხადაძე გერასიმ ონისიმეს-ძე — თელავის რაიონის სოფელ კურდღლაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

მაზიაშვილი კასუმა ქარუმას-ძე — სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ცუკალაშვილი მარინე ილიას ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ყვარლის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ზესტაფონის საარჩევნო ოლქი № 706

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **სახვრიძე** პავლე პრამონის-ძე — ზესტაფონის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **სხირტლაძე** უშანგი ვარლამის-ძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ხვედელიძე** მერი დავითის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები

კომლაძე ივანე გიორგის-ძე ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მაღაროთასამართველოს მუშების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

შალამბერიძე ლედი სიმონის ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ქამუშაძე გიორგი ილიას-ძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

კვინიკაძე გურამ სერაფიონის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ღვერკის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ტაბუცაძე თამარ ალექსანდრეს ასული — სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ზუგდიდის საარჩევნო ოლქი № 707

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ქვარცხავა** აკაკი კონსტანტინეს-ძე — ზუგდიდის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მოადგილე — **ინაშვილი** შალვა ჩაგუნის-ძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ობამჩირის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ბუკია** ნათელა აბრამის ასული — სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები

ხურცილავა ეუფენა იონას ასული — ხობის რაიონის სოფელ პირველი მაისის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

გულუა გოგოლა ნიკოლოზის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჭვეშინის სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ჭკადუა ვალერიან ალექსანდრეს-ძე — მესტიის რაიონის სოფელ ხაიშის კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ზაქარაია აკოტი ზოსიმეს-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის გალის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ფიფია ჭეჭეკო სამსონის-ძე — ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბას მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ვერგუნი ივანე ლუკიანეს-ძე — გალის რაიონის კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

დანელია ნადეჟდა თეოდორეს ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ხობის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ხვიტია ვერა დავითის ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

ჟუთაისის საარჩევნო ოლქი № 708

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **კობახიძე** შოთა სამსონის-ძე — ქუთაისის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **გიორგობინაძე** ილია დიმიტრის-ძე — სახელმწიფო დაწესებულების მუშაკთა პროფკავშირის ტყიბულის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **წურწუმია** აქესენტი ბახვას-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები

ჯანელიძე ანასტასია ალექსანდრეს ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ამბროლაურის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ჩიქოვანი ლევან ალექსანდრეს-ძე — ცაგერის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ტაბუცაძე ეკატერინე მიხეილის ასული — ონის რაიონის სოფელ შეუბნის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ლიპარტელიანი ციალა არტემის ასული — ლენტეხის რაიონის სოფელ ყვედრაშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ერემეევი ალექსანდრე ილიას-ძე;

კერესელიშვილი ნაზი გერონტის ასული — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მხეცაძე რუქანა ილიას ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ტყიბულის რაიონული ორგანიზაციისაგან;

დათუშიძე ნინო დიანოზის ასული — ამბროლაურის რაიონის დაბა ამბროლაურის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

ფოთის საარჩევნო ოლქი № 709

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **კვარაცხელია** ბიქტორ სტეფანეს-ძე — ფოთის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **გუგუნავა** გოგუცა ვლადიმერის ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ წევრებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ჩაჩიბაია** მარიამ დავითის ასული — საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის ფოთის ნავსადგურის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები

ქავეარაძე ვალერიან მიხეილის-ძე — წითელი ჯვრის საზოგადოების ფოთის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

თავამაშვილი ქსენია იაგორის ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის მახარაძის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ნანაძე ვლადიმერ ნესტორის-ძე — ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვეშინის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

კინწურაშვილი ნადია იოსების ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცხაკაიას რაიონული ორგანიზაციისაგან;

ანჯაფარიძე თინა ლავრენტის ასული — ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საცდელ-სარეწებელი მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

შენგელია იროდი ჩაგუს-ძე — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

მოისწრაფიშვილი ბიძინა უშანგის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციისაგან.

გოგიჩაიშვილი ნაზი მიხეილის ასული — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

რუსთავის საარჩევნო ოლქი № 710

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **თითბერიძე** შოთა ამბროსის-ძე — რუსთავის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ალიევი** ალი ბაირამის ძე — ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „გამარჯვების“ წევრებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **წვერავა** ოთარ აკაკის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის რუსთავის საქალაქო ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები

ნოვგოროდსკაია მარიამ ივანეს ასული — „ამიერკავკასიის მეტალურგშენის“ ტრესტის სამრეწველო საწარმოების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

კაკახიძე ეთერი შოთას ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის რუსთავის ბამბეულის საქსოვი ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

დიაკოვა ელისაბედ სტეფანეს ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის დმანისის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ქურხული მარიამ დავითის ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციისაგან;

სულიმანოვი მეხმან თოხმაზ ოღლი — მარნეულის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

გოგინაშვილი ბარბალე ალექსის ასული — წითელწყაროს რაიონული საავადმყოფოს მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

დიმელაშვილი შოთა იოსების-ძე — საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობა „განთიადის“ წევრებისაგან;

ორჯონიკიძე შოთა კარპეზის-ძე — მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფურცელ-საგლინავი საამქროს პირველადი ორგანიზაციისაგან.

სამტრედიის საარჩევნო ოლქი № 711

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **შავიშვილი** კოტა ნიკოლოზის ძე — სამტრედიის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **აბესაძე** ოთარ გრიგოლის-ძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის წყალტუბოს რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ფორფოლიანი** მიხეილ თეოფანეს-ძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის სამტრედიის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები

ცალკალამანიძე თინა მაქსიმეს ასული — ქ. სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ძაგანია ოთარ პორფილეს-ძე — სამტრედიის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

რატიანი ლეონა ირაკლის ასული — ქ. წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმის პედაგოგიური კოლექტივისაგან;

ჩომახიძე ლიანა ვასილის ასული — წულუკიძის რაიონის სოფელ გოჩა ჯიხაშვილის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

რუხაძე მერი დომენტის ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის წყალტუბოს რაიონული ორგანიზაციისაგან;

ჯღარკავა ამბროსი ვასილის-ძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის აბაშის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ჭეჭალუა ალმასხან გერასიმეს-ძე — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის გეგეჭკორის რაიონული ორგანიზაციისაგან;

სუპატაშვილი ელენე ამბროსის ასული — ვანის რაიონის სოფელ შუამთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

სოხუმის საარჩევნო ოლქი № 712

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ჭაჭია** გივი დარისმანის-ძე — აფხაზეთის საოლქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ჭეცა** ივანე შაიბის-ძე — აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოსაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ხუნწარია** ზოსიმე დავითის-ძე — რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის სამშენებლო სამმართველოს პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები

იაკენეო პეტრე ივანეს-ძე — გაგრის რაიონის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

კოტი ნადეჟდა მაქსიმეს ასული — სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ნაჰყეფია გალაქტიონ კონსტანტინეს-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციისაგან;

ჭედია თინა ალექსანდრეს ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის სოხუმის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

ჯენია რასიმ ჩაგოს-ძე — გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ბაგარიანი ასმიკ ბოგოსის ასული — სოხუმის რაიონის სოფელ თავისუფლების კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ წევრებისაგან;

დოლგანოვა თამარ ივანეს ასული — ტყვარჩელის, ქვანახშირის ტრესტის № 3 შახტის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

კრაწაშვილი გიორგი იოსების-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის მაუდ-კამეოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ პირველადი ორგანიზაციისაგან;

სეხნაშვილი მაყვალა სოლომონის ასული — თბილისის № 1 სამკერვალო ფაბ-

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1962 წლის 22 იანვარი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 47, 48 და 49 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქი № 126

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **დოლაძე** შოთა ანდრიასის-ძე — ქ. თბილისის ლენინის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **კიზიკაძე** ნიკოლოზ სევერიანეს-ძე — თბილისის, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ბურკაძე** ჯულიეტა ივანეს ასული — ამერკავკასიის რკინიგზის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები

თერდიკაშვილი ლიდა გიორგის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ბერაძე მადონა გიორგის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქ. თბილისის ლენინის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ჭინჭარაძე ეთერ ნიკოლოზის ასული — განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თბილისის მე-5 საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

გოთუა თამარ პორფილეს ასული — ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკთა კოლექტივისაგან;

ფანქველაშვილი ალბედ ალექსანდრეს-ძე — თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ბოგარევი ნიკოლოზ ფილიპეს-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ფატულაევი მირზალი ფატულა ოღლი — ბოლნისის რაიონის სოფელ იმირასანის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ნასიბოვი სილვა ისა ყზი — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ბოლნისის რაიონული ორგანიზაციისაგან.

თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი № 127

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **მეგრელიშვილი** კარლო სიმონის-ძე — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ღვამიჩავა** ანდრო რომანის-ძე — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ჭიჭინაძე** მარიამ ანტონის ასული — საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები

იაკობაშვილი ქეთევან კალისტრატეს ასული — საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ლაფაჩი ნინო ოსიფის ასული — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ბრონეოვი მიხეილ მაქსიმეს-ძე;

ბეეთრიშვილი უშანგი გიორგის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ანდრონიკაშვილი ეთერ ნიკოლოზის ასული — საქართველოს სსრ მხატვართა კავშირისაგან;

თოფურია ნინო რუბენის ასული — თბილისის ინსტრუმენტული ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მიქელაძე ჯემალ ფრიდონის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქ. თბილისის კალინინის რაიონული ორგანიზაციისაგან;

სუკაჩავი ვალენტინ იოსების-ძე — „კავგიპროტრანსის“ კოლექტივისაგან.

თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქი № 128

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ბელტიხინი** თენგიზ ეფრემის-ძე — ქ. თბილისის კიროვის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **მანსუროვი** ასლან ისმაილ ოღლი — დმანისის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **იოსელიანი** ლევან გიორგის-ძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ქ. თბილისის კიროვის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები

წიკლაური მაყვალა გიორგის ასული — ქ. თბილისის სამგორის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

კაკაბაძე თამაზ ნიკოლოზის-ძე — ქარხანა „ელექტროავტომატის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

პაიჭაძე იური ალექსანდრეს-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქ. თბილისის სამგორის რაიონული ორგანიზაციისაგან;

აბაშიძე თამარ ანტონის ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ქ. თბილისის კიროვის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ფორჟიკაშვილი გრიგოლ დავითის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მუშაკებისაგან;

ჩხენკელი ლიდა სოლომონის ასული — თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ბლახოვა ლუცია ანდრიას ასული — ქ. თბილისის ლენინის სახელობის № 1 ტყავის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

რაზმაძე — ლამარა ნიკიფორეს ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის დმანისის რაიონული ორგანიზაციისაგან.

თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქი № 129

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ლოლაშვილი** ოთარ ილიას-ძე — ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **სალაძე** გიორგი ვლადიმერის-ძე — ქ. თბილისის დიდუბის № 6 წისქვილის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ოსიყმაშვილი** თებროლე გიორგის ასული — საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები

კოპალეიშვილი ნელი ივანეს ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონული ორგანიზაციისაგან;

გიორგაძე გალინა გრიგოლის ასული — საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

კოპაძე ნელი მიხეილის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების ქ. თბილისის მე-4 პოლიკლინიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

პაპიაშვილი გიორგი გიორგის-ძე — ქ. თბილისის ტროლეიბუსების სამმართველოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

კრაწაშვილი გიორგი იოსების-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის მაუდ-კამეოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ პირველადი ორგანიზაციისაგან;

სეხნაშვილი მაყვალა სოლომონის ასული — თბილისის № 1 სამკერვალო ფაბ-

(დასასრული მე-8 გვერდზე)

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

(დასასრული)

რიკის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

აბრამიანი არტაშ მირონის-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის პირველადი ორგანიზაციისაგან;

გამოლინა ალექსანდრა ალექსის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თბილისის 37-ე საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

თბილისის 26 კომისრის სახელობის საარჩევნო ოლქი № 130

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ბოდუმიანი** არტავაზდ გიორგის-ძე — ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **მგელიაშვილი** ნიკოლოზ მიხეილის-ძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თბილისის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **მოინოვა** მარგალიტა ნიკოლოზის ასული — ქ. თბილისის № 80 საშუალო სკოლის მუშაკთა კოლექტივისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები

ეპიტაშვილი ვერა მიხეილის ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაონული ორგანიზაციისაგან;

ომიაძე მიხეილ ლონგინოზის-ძე;

ოდაბაშიანი ანაიდა გეგორაქის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონული ორგანიზაციისაგან;

აირაპეტიანი აკოფ გალუსტის-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონული ორგანიზაციისაგან;

კორნეიენკო ივანე ემელიანის-ძე;

მესაბლიშვილი გიორგი მიხეილის-ძე — თიანეთის რაიონის სოფელ ჟებოტის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

პატარიძე ნელი ლევანის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თიანეთის რაიონული ორგანიზაციისაგან;

დოლიძე ზაირა ბენიამინის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ამბროლაურის საარჩევნო ოლქი № 131

